ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №935565

ნომერი: AR1165637

თარიღი : 30.09.2013

გაცემის თარიღი : 07.10.2013

გაცნობის თარიღი : 08.10.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თვალის კლინიკა , და კრწანისის II ჩიხს შორის ; ქალაქი თბილისი , თვალის კლინიკასა და კრწანისის II-ჩიხს შორის.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა ბოჭორიშვილი პ/ნ 01017016820
- რჩეულიშვილის მე-4 კ. ბინა 12

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებულ საკადასტრო ერთეულებზე (საკადასტრო კოდი: #01.18.06.018.022, 01.18.06.018.023) დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3–ის (სზ–3) სტატუსით.

საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3):

ა) დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი სახლები. ასევე, დასაშვებია ამ წესების დანართი -1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები (იხ. დანართი).

ბ) კოეფიციენტები:
ბ.ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქისიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0,5;
ბ.ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) – 1,5;
ბ.გ) მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0,2.

აქვე გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებს არ გააჩნია მისასვლელი გზა, შესაბამისად ამისთვის საჭიროა რომელიმე მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის სერვიტუტით დატვირთვა, მისი მესაკუთრის თანხმობა.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.